საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე: ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ფშავის ქ. №16-ში მოქალაქეების გიორგი ფოცხვერაშვილისა და რამაზ გაჩეჩილაძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი №03/020 ნაკვეთის საინჟინრო - გეოლოგიური პირობების შესახებ

მოქალაქე გ. ფოცხვერაშვილისა და რ. გაჩეჩილაძის თხოვნით, ჩვენს მიერ 2016 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ფშავის ქ. №16-შ, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი №03/020 ნაკვეთზე ჩატარებული საიჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ფშავის ქ. №16-ში, საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ №03/020 ნაკვეთზე ჩატარებული საიჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „ბაზისი-XXI“ გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2012 წლის ივნისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ-გეოლოგი დავით ბობოხიძე. მათ მიერ არის ლაბორატორიული გამოკვლევები გრუნტების ზოგიერთ თვისებებზე.

საექსპერტოდ წარმოდგენილია

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე. ..... 3 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც.
4. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 1 ფურც.
5. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 1 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 7-სართულიანი, მანსარდიანი საცხოვრებელი სახლი, შენობის ზომებია გეგმაში 13 X 14. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინა-ბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით.

რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე, გაყვანილი იქნა 3 შურფი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 8,5 მეტრს. შურფებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. შურფების მცირე სიღრმეები აიხსნება ძირითადი ქანების არგილითებითა და ქვიშაქვების სიახლოვით მიწის ზედაპირთან.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

I. ფენა 1 - ნაყარი გრუნტი;
II. ფენა 2 - ძლიერგამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;

ანგარიშში მოცემულია საკვლევ ტერიტორიაზე წარმოდგენილი გრუნტების დახასიათება, როგორც ტერიტორიის ჭრილებიდან ჩანს, ძირითადი ქანები ძალიან ახლოს არის მიწის ზედაპირთან, ამიტომ შვიდსართულიანი მანსარდიანი კორპუსისათვის ავტორი იძლევა წინადადებას, რომ შენობის დაფუძნება მოხდეს ძირითად ქანებზე, გამოკვლეულ არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობაზე, რასაც ვეთანხმებით.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დასკვნა

ქ. თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, ფშავის ქ. №16-ში მოქალაქეების გ. ფოცხვერაშვილისა და რ. გაჩეჩილაძის საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ №03/020 ნაკვეთზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად, წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო -გეოლოგიურ ნაწილში.

სტუ-ს გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტმდ, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/